GRASS
„საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
1 03 2019

საქართველოს უზენაესი სასამართლო

0110, თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32. ტელ: (995 32) 2 990164, 2 996546 ფაქსი: (995 32) 2 990164
ელ-ფოსტა: info@supremecourt.ge www.supremecourt.ge

26.02.2019 N პ-146-19

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
ბატონ დავით ქუტიძეს

ბატონო დავით,

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2019 წლის 18 თებერვალს შემოსული თქვენი განცხადების (რეგისტრაციის ნომერი პ-146-19) პასუხად გაცნობებთ, რომ:

1. 2006 წელს პატიმრობის მოთხოვნით შემოსული შუამდგომლობებიდან დაკმაყოფილებულ იქნა 10 358 მოთხოვნა და შესაბამისად, პატიმრობა შეეფარდა 10 358 პირს.
2. სტატისტიკურ ცხრილებში გამოყენებული აღნიშვნა „X" არის იმის მაჩვენებელი, რომ შესაბამისი მონაცემების აღრიცხვა სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებში მოცემულ პერიოდში არ წარმოებდა.
3. ცარიელი უჯრა ცხრილში ნიშნავს, რომ მაჩვენებელი - უარი ეთქვა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე - 2011 წელს არის 0.
4. თქვენი 2019 წლის 5 თებერვლის N 30 წერილის მე-2 პუნქტში თქვენ ითხოვდით აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაოს გამოყენების შედეგად ამოღებული თანხების ოდენობას. შესაბამისად გაგეცათ პასუხი რომ სასამართლო სტატისტიკაში აღნიშნული მაჩვენებელი არ აღირიცხება.
   აქვე შეგახსენებთ, რომ თქვენ მიერ გამოთხოვილი 2003-2018 წლების გირაოს გამოყენების შედეგად ამოღებული თანხების ოდენობის შესახებ მონაცემების მოძიებისათვის საჭიროა საქმეების სისტემატიზაცია და საარქივო დამუშავება, რაც მოითხოვს საკმაოდ დიდ დროსა და ადამიანურ რესურსს, რისი განხორციელების საშუალება არ გაგვაჩნია.

პატივისცემით

ლია ყიფიანი
სამართლებრივი მხარდაჭერის ხელმძღვანელი